



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №89
2015 წლის 3 ნოემბერი
ქ. სენაკი

„სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №60 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მეორე ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №21 დადგენილების, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილების 107 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №60 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

- ა) ზურაბ აფაქიძე;
- ბ) ხვიჩა სანაია;
- გ) ბადრი ხურცია;
- დ) დინარა ხუხუა;
- ე) დავით გვარამია;
- ვ) ნუკრი მირგატია;
- ზ) ავთანდილ ფოცხვერია;
- თ) ლაშა კუჭავა.“

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ჯუმბერი ლაშქარავა